

სამოქალაქო საზოგადოება – ბრძოლა რესურსებისათვის

2011 წლის შემოდგომაზე საქართველოში ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენამ გააძლიერა ინტერესი საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა მიმართ. სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა მოთხოვნადი ხდება – მათ მოსახლეობის გააქტიურების პროცესში თუ სხვადასხვა სფეროს ექსპერტულ შეფასებაში მნიშვნელოვან როლს აკისრებენ.

ერთი შეხედვით ჩანს, რომ არასამთავრობოებიც ადექვატურად პასუხობენ ამ მოთხოვნას – იქმნება კოალიციები და გაერთიანებები, მედიაში სამოქალაქო საზოგადოების სახელით კეთდება სერიოზული განცხადებები და სხვ.

მაგრამ თუ უფრო დაკვირვებით გავაანალიზებთ მიმდინარე პროცესებს, დავინახავთ, რომ თავად სამოქალაქო საზოგადოება, განვითარების დღვევანდელ ეტაპზე, სრულიადაც არ არის ისეთი ძლიერი, როგორადც მას შემირად მიიჩნევენ. უფრო მეტიც, თავად არასამთავრობო სექტორში საკმაოდ ბევრი პრობლემაა დაგროვილი.

ის ფაქტი, რომ სამოქალაქო საზოგადოება კრიზისშია, თავად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებით მიერაა აღიარებული, თუმცა ამ კრიზისის მიზეზებს სხვადასხვაგვარად ზნიან.

ერთი შეხედულებით, სამოქალაქო საზოგადოების დასუსტება 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ იწყება, როცა არასამთავრობო სექტორის ბევრი წარმომადგენელი ხელისუფლებაში აღმოჩნდა, ხოლო მესამე სექტორის ახალი კადრებით მათი ჩანაცვლება არ მოუხდენია. ამასთან ხელისუფლებამ, რომელიც სწორედ არასამთავრობო სექტორიდან წამოსული კადრებით არის დაკომპლექტებული, კარგად იცის, საჭიროების შემთხვევაში, როგორ დაასუსტოს მესამე სექტორი და როგორ მოახდინოს ამ უკანასკნელის მოთხოვნების ივნირიება.

არსებობს მეორე მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში ძლიერი არასდროს არ ყოფილა და თუ ის ადრე უფრო აქტიური ჩანდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო იყო მეტისმეტად სუსტი. ბოლო წლების მანძილზე სახელმწიფო ინსტიტუტების ქმედუნარიანობის და ეფექტურობის გაზრდის ფონზე, არასამთავრობოებმა დაკარგეს გავლენა საზოგადოებრივ პროცესებზე.

გარკვეულწილად ორივე ეს ხედვა შეიცავს ჰეშმარიტების მარცვალს, მაგრამ ასე გამარტივებულად პრობლემის წარმოჩენა არ არის მართებული. არასამთავრობოების სტატუსი არ არის სტატიური მდგომარეობა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ქვეყანაში მიმდინარე პროცესების გამოძახილა.

1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაიწყო ახალი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორმირების პროცესი. ეს ორგანიზაციები ძირითადად დასავლური (სახელმწიფო თუ კერძო) დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით იქმნებოდნენ და ფუნქციონირებდნენ. 90-იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური ქაოსის პირობებში ისინი წარმოადგენდნენ "თავისუფლების კუნძულებს", სადაც შეიძლებოდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია ბიზნესსა და სახელმწიფო ინსტიტუტებში არსებული, მატერიალური თუ არამარტიალური, კორეული ურთიერთობის გარეშე. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავეთა ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა მოზერულ შემოსავალს.

დამოუკიდებლობის პერიოდში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების პროცესში რამდენიმე ფაზის გამოყოფა არის შესაძლებელი:

- ჩასახვის პერიოდი (1992-1995), როცა იქმნება პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი სუსტი იყვნენ საიმისოდ, რომ რაიმე მნიშვნელოვანი როლი ეთამაშათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- "ოაზისური" პერიოდი (1995-1999), როცა არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვიც და აქტივობაც მნიშვნელოვნად იზრდება. სახელმწიფო ამ ეტაპზეც არ ეროდა მესამე სექტორის საქმიანობაში, ვინაიდან დასავლეთის თვალში ცდილობდა დემოკრატიული იმიჯის შექმნას;
- დამოუკიდებელ საზოგადოებრივ ძალად ჩამოყალიბების პერიოდი (1999-2003), როცა არასამთავრობები უკვე გამოიდინ საკუთარი და ზოგადად საზოგადოებრივი ინტერესების დასაცავად. ამ დროიდან ხელისუფლებაში იკვეთება მესამე სექტორის საქმიანობის ფინანსური თუ პოლიტიკური მეთოდებით შეზღუდვის ტენდენცია, რის გამოც სამოქალაო საზოგადოების ორგანიზაციები ოპოზიციური განწყობების ერთერთ მთავარ შემკრებ ძალად იქცნებ;

- პოსტრევოლუციური ეიფორიის პერიოდი (2003-2008), როცა მესამე სექტორი "იმკის" რევოლუციის შედეგებს. ესაა ახალი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მეტნაკლებად მჭიდრო თანამშრომლობის ეპოქა;
- "გარდატეხის პერიოდი" (2008-დან) – ხელისუფლებაში გაჩენილმა "დრაკონის სინდრომმა" (როცა დრაკონის დამმარცხებელი რაინდი თავად იქცევა დრაკონად) როგორც მთლიანად საზოგადოებაში, ისე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში წარმოშვა და გააძლიერა პროტესტის და არსებული სისტემისადმი ოპონირების სურვილი. სამოქალაქო სექტორი იწყებს ფიქრს საკუთარი საქმიანობის ახალ სტრატეგიაზე.

ბოლო პერიოდში ხელისუფლება სულ უფრო და უფრო მეტ ბარიერს (ცენტურა, ფორმალური/საკანონმდებლო თუ არაფორმალური ზეწოლა და ა.შ.) უქმნის სამოქალაქო საზოგადოებას. სიტუაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ 2003 წლიდან დონორმა ორგანიზაციებმა ძირითადი აქცენტები ახალი, რევოლუციური მთავრობის დახმარებაზე გადაიტანეს და შედეგად შემცირდა არასამთავრობო სექტორის დაფინანსება.

ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფოს მხრიდან სექტორის დაფინანსება მიზერული და ამასთან, პოლიტიზებულია, ბიზნესი ფაქტურად არ თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხოლო მოხალისეობის ხარისხი, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა და საზოგადოების ღრმა ფრუსტრაციის გამო, თითქმის არ არსებობს, საერთაშორისო დახმარებების შემცირებამ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა განვითარებაზე კატასტროფულად იმოქმედა.

ბოლო 7-8 წლის განმავლობაში ქვეყანაში ფაქტიურად შეწყვიტეს საქმიანობა სათემო ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა საზოგადოებრივმა საინიციატივო ჯგუფებმა. ძირითადად გაქრენ მცირე ორგანიზაციები, რაც განსაკუთრებით რეგიონებში შეინიშნება. გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვისაც მეტნაკლებად ძლიერი სტრუქტურა და მატერიალური და ადამიანური რესურსები გააჩნდათ და ისინი, ვინც ხელისუფლების საქმიანობის პროპაგანდისტად იქცა.

მართალია ბოლო ხანებში დონორმა ორგანიზაციებმა კვლავ მიაქციეს ყურადღება არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების საკითხს, მაგრამ სექტორი, მისი უნარების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გასული საუკუნის 90-იანი წლების შუახანების დონეზე დაეცა და ისევ თავიდან იწყებს ჩამოყალიბებას.

სამოქალაქო საზოგადოების სისუსტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის გარდა არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც თავისი მნიშვნელობით აღემატება ყველა სხვა პრობლემას და მათი გამომწვევია – თავისი არსებობის ბოლო 20 წლის მანძილზე არასამთავრობო ორგანიზაციები განსაკუთრებით დონორებთან და ასევე ხელისუფლებასთან უფრო მეტ ყურადღებას უთმობდნენ, ვიდრე მოსახლეობასთან კონტაქტების გაღრმავებას და საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე ადექვატურ რეაგირებას.

რაგინდ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დონორებმა, რომელთაც სურდათ ხელი შეეწყოთ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისათვის, თავისი საქმიანობის შედეგად მიიღეს არა სამოქალაქო საზოგადოება, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეთობლობა.

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში (ისევე როგორც ბევრ სხვა განვითარებად და ახალი დემოკრატიის ქვეყნებში) გადაიქცნენ გარკვეულწილად დახურულ კასტად, სოციალურ ჯგუფად, რომლისთვისაც დამახასიათებელია გადაჭარბებული პოლიტიზაცია, გამწვავებული ბრძოლა ერთმანეთთან შეზღუდული რესურსების ხელში ჩასაგდებად და საკუთარი, "დედლაინებზე" და გრანტერების გაუგებარია და აძლიერებს ამ უკანასკნელის არასამთავრობოთა თანამეგობრობისაგან კიდევ უფრო დისტანცირების პროცესს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გარკვეული ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში გაჩენილი ტენდენცია, გამონახონ საზოგადოებასთან დაახლოების გზები. თუ რამდენად წარმატებული იქნება ეს მცდელობა, ამას მომავალი დაგვანახებს.